# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-581

15/08/2022

ქ. თბილისი

**„შპს „დიდოსტატის“ გაჯის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 იანვრის N 2-4 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№ 1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა  და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 აგვისტოს N 21/4247 წერილის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „დიდოსტატის“ გაჯის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 იანვრის N 2-4 ბრძანება.

2. ბრძანება გაეგზავნოს: სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და შპს „დიდოსტატს“.

3. სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ეს ბრძანება 5 დღის ვადაში განათავსოს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**ოთარ შამუგია**

**მინისტრი**